

## უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“ (DOW AGROSCIENCES A.S.)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შედგენილია ევროკომისიის (EU) No. 2015/830 რეგულაციის შესაბამისად

პროდუქტის დასახელება: EF-1551 ქლორპირიფოსი 480 ეკ ინსექტიციდი  
EF-1551 CHLORPYRIFOS 480 EC Insecticide

განახლების თარიღი:

10.01.2017

ვერსია: 12.0

დაბეჭდვის თარიღი: 22.11.2017

„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“ მოგიწოდებთ და იმედოვნებს, რომ თქვენ სრულად წაიკითხავთ და გაიგებთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს, რადგან მთელი დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ დაიცავით ამ დოკუმენტში მითითებულ უსაფრთხოების ზომებს, თუ პრეპარატის გამოყენების თქვენი პირობები არ მოითხოვს სხვა შესაბამის მეთოდებს ან მოქმედებებს.

### პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

#### 1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის დასახელება: EF-1551 ქლორპირიფოსი, 480 ეკ ინსექტიციდი

1.2 ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები  
იდენტიფიცირებული გამოყენება: მცენარეთა დაცვის პროდუქტი, ინსექტიციდი

#### 1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები კომპანიის იდენტიფიკაცია

DOW AGROSCIENCES A.S.	„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“
İçerenköy Mahallesi	
UMUT SOKAK, NO: 10/12 AND KAT:3	
34752 ATAŞEHİR-İSTANBUL	34752 ატაშეჰირი-სტამბოლი,
TURKEY	თურქეთი

საინფორმაციო სამსახურის ნომერი: 90-216 386 02 42  
SDSQuestion@dow.com

#### 1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

24-საათიანი გადაუდებელი დახმარების ნომერი: +90 262 754 5174  
ადგილობრივი გადაუდებელი დახმარების ნომერი: 00 31 115 69 4982

### პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია

#### 2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

აალებადი სითხეები - კატეგორია 3 - H226

მწვავე ტოქსიკურობა - კატეგორია 4 - პერორალური - H302

მწვავე ტოქსიკურობა - კატეგორია 4 - ინჰალაცია - H332

კანის გაღიზიანება - კატეგორია 2 - H315

თვალის გაღიზიანება - კატეგორია 2 - H319

ასპირაციის საშიშროება - კატეგორია 1 - H304

სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა - ერთჯერადი ზემოქმედება - კატეგორია 3 - სასუნთქი გზების გამაღიზიანებელი - H335

სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა - განმეორებითი ზემოქმედება - კატეგორია 3 - ნარკოტიკული მოქმედება. - H336

მწვავე ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის - კატეგორია 1 - H400  
ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის - კატეგორია 1- H410

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

## 2.2 ეტიკეტის ელემენტები:

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

საშიშროების პიქტოგრამები



სასიგნალო სიტყვა: საშიშროება

საშიშროების შესახებ განცხადებები

H226	აალებადი სითხე და ორთქლი.
H302	მაკნეა გადაყლაპვისას.
H332	მაკნეა ჩასუნთქვისას.
H315	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
H304	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას.
H335	შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება.
H336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H410	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები

P280	გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი/დამცავი სპეცტანსაცმელი/თვალის დამცავი / სახის დამცავი საშუალებები.
P301 + P310	გადაყლაპვისას: დაუყოვნებლივ დარეკეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრში/ ექიმთან.
P302 + P352	კანზე მოხვედრისას: ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის საპნითა და წყლით.
P305 + P351 + P338	თვალებში მოხვედრისას: ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამოდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ გამორეცხვა.
P331	არ გამოიწვიოთ ღებინება.
P501	შეთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ სახიფათო ნარჩენების უტილიზაციის ლიცენზიის მქონე კონტრაქტორის მეშვეობით ან ნაგავსაყრელზე განთავსებით, ცარიელი სუფთა ტარის/კონტეინერების გარდა, რომლებიც შეიძლება განადგურდეს, როგორც არასახიფათო ნარჩენები.

დამატებითი ინფორმაცია

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

შეიჯავს ქლორპირიფოსი (ISO); არომატული ნახშირწყალბადები, C9, სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული.

## 2.3 სხვა რისკები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

**პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ**

**3.2 ნარევი**

ეს პროდუქტი არის ნარევი.

CASRN / EC-No. / ინდექსის-No.	REACH რეგისტრაციის ნომერი	კონცენტრაცია	კომპონენტი	კლასიფიკაცია: რეგულაცია (EC) No 1272/2008
CASRN 2921-88-2 EC-No. 220-864-4 ინდექსის-No. 015-084-00-4	-	44.53%	ქლორპირიფოსი(ISO);	მწვავე ტოქ. - 3 - H301 წყლისათვის მწვავე - 1 - H400 წყლისათვის ქრონიკული - 1 - H410
CASRN არ არის ხელმისაწვდომი EC-No. 918-668-5 ინდექსის-No. -	01-2119455851-35	> 40.0 - < 50.0 %	არომატული ნახშირწყალბადები, C9	აალებ. სითხ. - 3 - H226 STOT SE - 3 - H336 STOT SE - 3 - H335 ასპ. ტოქ. - 1 - H304 წყლისათვის ქრონიკული - 2 - H411
CASRN 68953-96-8 EC-No. 273-234-6 ინდექსის-No. -	01-2119964467-24	< 5.0 %	ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13- განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები	მწვავე ტოქ. - 4 - H312 კანის გაღ. - 2 - H315 თვალის დაზ. - 1 - H318 წყლისათვის ქრონიკული - 2 - H411
CASRN 64742-94-5 EC-No. 265-198-5 ინდექსის-No. 649-424-00-3	01-2119463583-34	< 5.0 %	სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული	STOT SE - 3 - H336 ასპ. ტოქ. - 1 - H304 წყლისათვის ქრონიკული - 2 - H411
CASRN არ არის ხელმისაწვდომი EC-No. 918-811-1 ინდექსის-No. -	01-2119463583-34	< 1.0 %	არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნაფთალინი	STOT SE - 3 - H336 ასპ. ტოქ. - 1 - H304 წყლისათვის ქრონიკული - 2 - H411
CASRN 3689-24-5 EC-No. 222-995-2 ინდექსის-No. 015-027-00-3	-	< 0.1 %	სულფოტეპი (ISO)	მწვავე ტოქ. - 1 - H300 მწვავე ტოქ. - 1 - H330 მწვავე ტოქ. - 1 - H310 წყლისათვის მწვავე - 1 - H400 წყლისათვის ქრონიკული - 1 - H410
CASRN 5598-13-0 EC-No. 227-011-5 ინდექსის-No. 015-186-00-9	-	< 0.1 %	ქლორპირიფოს-მეთილი	კანის სენს. - 1 - H317 წყლისათვის მწვავე - 1 - H400 წყლისათვის ქრონიკული - 1 - H410

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

## პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები

### 4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

**ზოგადი რჩევები:** პირველადი სამედიცინო დახმარების აღმომჩენმა პირებმა, ყურადღება უნდა მიაქციონ პირად უსაფრთხოებას და გამოიყენონ რეკომენდებული დამცავი სპეცტანსაცმელი (ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი ხელთათმანი, შხეფებისგან დამცავი საშუალებები). ზემოქმედების ან პოტენციური ზემოქმედების შემთხვევაში: იხილეთ მე-8 პარაგრაფში მითითებული ინდივიდუალური დაცვის სპეციფიკური საშუალებები.

**ჩასუნთქვისას:** გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შემდეგ ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. პირით პირში სუნთქვისთვის გამოიყენეთ მაშველის დამცავი საშუალება (ჯიბის ნიღაბი და ა.შ.). მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. თუ სუნთქვა გაძნელებულია, დაზარალებულს მიაწოდეთ ჟანგბადი კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით.

**კანზე მოხვედრისას:** გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ კანი დიდი რაოდენობის წყლით 10–15 წუთის განმავლობაში. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო უსაფრთხოების საშუალებები.

**თვალებში მოხვედრისას:** გახელილ მდგომარეობაში თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ ატარებთ კონტაქტურ ლინზებს, მოიხსენით პირველი 5 წუთის შემდეგ და გააგრძელეთ თვალების გამორეცხვა. მკურნალობის შესახებ რჩევების მისაღებად მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. სამუშაო ზონაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექსტრემალურ სიტუაციაში თვალების ამოსარეცხი სათანადო საშუალებები.

**გადაყლაპვის შემთხვევაში:** დაუყოვნებლივ მიმართეთ ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს ან ექიმს. არ გამოიწვიოთ პირღებინება ხელოვნურად ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრის ან ექიმის მითითების გარეშე. დაზარალებულს არ მიაწოდოთ არანაირი სითხე. უგონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.

**4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და ეფექტები:** პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებების (ზემოთ) და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და აუცილებელი სპეციალური მკურნალობის შესახებ მითითებების (ქვემოთ) გარდა, ნებისმიერი დამატებითი მნიშვნელოვანი სიმპტომი და ეფექტი აღწერილია მე-11 პარაგრაფში: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია.

### 4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება

**მითითება ექიმს:** უზრუნველყავით სათანადო განიავება და პაციენტის ოქსიგენაცია. ქლორპირიფოსი არის ქოლინესტერაზის ინჰიბიტორი. მკურნალობა ხორციელდება სიმპტომურად. მწვავე მოწამვლის შემთხვევაში, სასუნთქი გზების გახსნისა და სუნთქვის აღდგენისთანავე გამოიყენეთ ანტიდოტი. ატროპინი, მხოლოდ ინტრავენურად, წარმოადგენს სასურველ ანტიდოტს. ოქსიმები, მაგალითად პრალიდოქსიმი (2-PAM) / პროტოპამი, შეიძლება იყოს თერაპიული ეფექტის, ადრეულ ეტაპზე გამოყენებისას, ამასთან, გამოიყენეთ მხოლოდ ატროპინთან ერთად. ეპილეფსიური შეტევის კონტროლი სცადეთ დიაზეპამით 5-10 მგ (მოზრდილებში) ინტრავენურად 2-3 წუთის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ ყოველ 5-10 წუთიანი ინტერვალით. მოახდინეთ ჰიპოტენზიის, რესპირატორული დეპრესიისა და ინტუბაციის საჭიროების მონიტორინგი. გაითვალისწინეთ დამატებითი პრეპარატის გამოყენება, თუ გულყრა გრძელდება 30 მგ შემდეგ. თუ შეტევები გრძელდება ან მეორდება, გამოიყენეთ ფენობარბიტალი 600-1200 მგ (მოზრდილებში) განზავებული 60 მლ 0.9% ფიზიოლოგიურ ხსნარში, ინტრავენური შეყვანით 25-50 მგ/წუთში. ჩაუტარეთ გამოკვლევები ჰიპოქსიის, დისტრიმის, ელექტროლიტების დარღვევის, ჰიპოგლიკემიის შესაფასებლად (მოზრდილებში მკურნალობა დექსტროზით 100 მგ ინტრავენურად). ზემოქმედების/ექსპოზიციის შემთხვევაში, პლაზმური ქოლინესტერაზისა და სისხლის წითელი უჯრედების ტესტებით შეიძლება ზემოქმედების შეფასება (საწყისი მონაცემები სასარგებლოა). თუ კუჭის ამორეცხვა ჩაუტარდა, პაციენტს შესთავაზეთ ენდოტრაქეალური და / ან საყლაპავი მილის გამოკვლევა. კუჭის ამორეცხვის დროს უნდა შეფასდეს ფილტვების ასპირაციის რისკი. ღებინების გამოწვევაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა. პრეპარატის ზემოქმედების შედეგების მკურნალობა მიმართული უნდა იყოს სიმპტომების კონტროლსა და პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაზე. ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში ან ექიმთან დარეკვისას, ან სამკურნალოდ წასვლისას, თან იქონიეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი, და თუ ხელმისაწვდომია, პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი. კანზე მოხვედრამ შეიძლება გართულოს არსებული დერმატიტი.

## პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

### 5.1 ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

**ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:** წყლის ნისლი ან წვრილი შხვევების შეფრქვევა. მშრალი ქიმიური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. ნახშირორჟანგის შემცველი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. ქაფი. უმჯობესია სპირტების მიმართ მდგრადი ქაფები (ATC ტიპის). შეიძლება ზოგადი დანიშნულების სინთეზური ქაფების (AFFF ტიპის ჩათვლით) ან ცილოვანი ქაფების გამოყენება, თუმცა ნაკლებად ეფექტური იქნება.

**ხანძრის ჩაქრობის შესაბამის საშუალებები:** მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

### 5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

**საშიში წვის პროდუქტები:** ხანძრის დროს კვამლი საწყის ნაერთებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა შემადგენლობის წვის პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება იყოს ტოქსიკური და / ან გამადიზიანებელი მოქმედების. წვის პროდუქტები სხვა დანარჩენ ნივთიერებებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს: გოგირდის ოქსიდებს, ფოსფორის ოქსიდებს, აზოტის ოქსიდებს. ქლორწყალბადს, ნახშირორჟანგს, ნახშირორჟანგს.

**ხანძრისა და აფეთქების იშვიათი საფრთხეები:** ხანძრის პირობებში პროდუქტის ტარა შეიძლება გასკდეს აირის წარმოქმნის გამო. ცხელ სითხეებზე წყლის პირდაპირი ნაკადის გამოყენებისას შეიძლება მოხდეს ძლიერი ორთქლის წარმოქმნა ან ამოფრქვევა. დაამიწეთ ყველა დანადგარი/ხელსაწყო. ამ პროდუქტის ცეცხლსაშიში ნარევი ადვილად აალებს თუნდაც სტატიკური ელექტრობის განმუხტვის გამო. ჰაერზე უფრო მძიმე ორთქლი შეიძლება გადაადგილდეს დიდ მანძილზე და დაგროვდეს დაბლა განლაგებულ სივრცეებში. შეიძლება მოხდეს აალება და/ან ანაორთქლის უკუ აალება. პროდუქტის წვის შედეგად წარმოიქმნება სქელი კვამლი. როდესაც პროდუქტი ინახება დახურულ ჭურჭელში, შეიძლება წარმოიქმნას ცეცხლსაშიში გარემო.

### 5.3 რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

**ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები:** ხალხი გაიყვანეთ ხანძრის კერიდან მოშორებით. მოახდინეთ ხანძრის ზონის იზოლირება და ნუ შეხვალთ, თუ აუცილებელი არ არის. იყავით ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. გაერიდეთ დაბალ ადგილებს, სადაც შეიძლება მოხდეს აირების (გამონახოლქვის) დაგროვება. განიხილეთ კონტროლირებადი წვის მიზანშეწონილობა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გარემოს დაზიანება. სასურველია ცეცხლმაქრი ქაფის გამოყენება, რადგან წყლის უკონტროლო ნაკადმა შეიძლება გააფართოვოს შესაძლო დაზიანებების არეალი. გამოიყენეთ წყლის ჭავლი ხანძრის ზონაში მყოფი კონტეინერებისა და ხანძრის კერის გასაგრილებლად, ხანძრის ჩაქრობამდე და ხელმეორედ აალების საფრთხის გასვლამდე. ცეცხლი ჩააქრეთ დაცული ადგილიდან ან უსაფრთხო მანძილიდან. განიხილეთ ავტომატური შლანგის დამჭერების ან გამაფრქვეველი ლულების გამოყენება. სავენტილაციო დამცავი მოწყობილობიდან ხმის მომატების ან პროდუქტის ტარის გაუფერულების შემთხვევაში დაუყონებლივ გაიყვანეთ მთელი პერსონალი ზონიდან. არ გამოიყენოთ წყლის პირდაპირი ნაკადი. შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის გავრცელება. თავიდან მოიშორეთ აალების წყაროები. გაიტანეთ დაუზიანებელი კონტეინერები ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. პერსონალის დაცვის და ქონებრივი ზიანის შემცირების მიზნით, აალებული სითხეების გადაადგილება შეიძლება წყლის ჭავლის მეშვეობით. თუ შესაძლებელია, შეაკავეთ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლის გადინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. გადახედეთ ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის პარაგრაფებს: "ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრისას/დაფრქვევისას" და "ეკოლოგიური ინფორმაცია". აალებული სითხეების ჩაქრობა შეიძლება წყლით განხავებით.

**სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისათვის:** გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატი (SCBA) დადებითი წნევით და ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი სპეცტანსაცმელი (მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო ჩაფხუტს, ქურთუკს, შარვალს, ჩექმებს და ხელთათმანს). ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების შესრულებისას მოერიდეთ პროდუქტთან შეხებას. თუ არსებობს შეხების საფრთხე, ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი საშუალებები შეცვალეთ ქიმიურად მედეგი ხანძარსაწინააღმდეგო კომბინიზონის სრული კომპლექტით და ავტონომიური სასუნთქი აპარატით. თუ ქიმიურად მედეგი ხანძარსაწინააღმდეგო კომბინიზონის სრული კომპლექტისა და ავტონომიური სასუნთქი აპარატის გამოყენება არ არის ხელმისაწვდომი, ცეცხლი ჩააქრეთ უსაფრთხო მანძილიდან. ხანძრის შემდეგ ან ხანძარს შედეგების ლიკვიდაციის სიტუაციებში, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შესაბამის პარაგრაფებში.

---

## პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

---

**6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები:** დატოვებულ ტერიტორიაზე დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-7 პარაგრაფი, მოხმარება. მხოლოდ კვალიფიციურ და სათანადოდ დაცულ პერსონალს შეუძლია დასუფთავების პროცესებში მონაწილეობა. არ ამყოფოთ პერსონალი დაბალ ადგილებში. არ ამყოფოთ პერსონალი დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში ან ცუდად განიავებად სივრცეებში. იყავით დაღვრის ადგილიდან ქაჩპირა მხარეს. გაანიავეთ დაღვრის ან გაჟონვის ადგილი. ტერიტორიაზე აკრძალულია მოწევა. ზონაში შესვლისას უნდა დაცვათ დახურულ სივრცეში შესვლის პროცედურები. ორთქლის აალების საშიშროება. მთავრად საკანალიზაციო მილებს. ხანძრის ან აფეთქების თავიდან ასაცილებლად, დაღვრილი პრეპარატის ან გამოყოფილი ორთქლის სიახლოვეს მოაცილეთ აალების ყველა წყარო. დაამიწეთ და შეკარით ყველა კონტეინერი და სამუშაო ხელსაწყო/აპარატურა. გამოიყენეთ სათანადო დამცავი აღჭურვილობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ზემოქმედების კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.

**6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები:** არ დაუშვათ ნიადაგში, თხრილებში, საკანალიზაციო სისტემებში, წყალსატევებში ან / და გრუნტის წყლებში შეღწევა. იხილეთ მე-12 პარაგრაფი, ეკოლოგიური ინფორმაცია. ბუნებრივ წყალსატევებში ჩაღვრამ ან მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს წყლის ორგანიზმების განადგურება.

**6.3 გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები:** თუ შესაძლებელია მოაგროვეთ დაღვრილი პროდუქტი. მცირე რაოდენობით დაღვრა: აბსორბირება მოახდინეთ ისეთი მასალებით, როგორებიცაა: თიხა. მიწა. ქვიშა. მოწმინდეთ. ამოტუმბეთ აფეთქებაუსაფრთხო აპარატი. თუ არის შესაძლებელი, დასაფარად და გავრცელების აღსაკვეთად გამოიყენეთ ქაფი. გადაიტანეთ შესაფერის და სათანადოდ მარკირებულ კონტეინერებში. მასშტაბური დაღვრა: დასუფთავების პროცესში დახმარებისთვის დაუკავშირდით „დაუ აგროსაიენსის“. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი, განკარგვა/უტილიზაცია.

**6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე:** სხვა პარაგრაფებზე მითითებები, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილია წინამდებარე ქვე-პარაგრაფებში.

---

## პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა

---

**7.1 სივრთხილის ზომები გამოყენების დროს:** შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ სითბოს, ნაპერწკლებსა და აალების წყაროებისგან შორს. სამუშაო და სასაწყობო ტერიტორიაზე დაუშვებელია მოწევა, ღია ცეცხლი ან აალების წყაროები. სამუშაო ოპერაციის ტიპის გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო გახდეს უნაპერწკლო ან აფეთქებაუსაფრთხო ხელსაწყოების გამოყენება. კონტეინერები, თუნდაც დაცვილ მდგომარეობაში, შეიძლება შეიცავდეს ორთქლს. არ გაჭრათ, გაბურღოთ, გახეხოთ, შეადულოთ და არ აწარმოოთ მსგავსი ოპერაციები ცარიელ კონტეინერებზე ან მათთან ახლოს. არ შეისუნთქოთ ორთქლი. არ შეისუნთქოთ მტვერი ან შხვეები. თავიდან აიცილეთ თვალებთან, კანთან და ტანსაცმელთან ხანგრძლივ შეხება. არ დაუშვათ პრეპარატის თვალებში, კანზე, ტანსაცმელზე მოხვედრა. არ ჩაყლაპოთ. სრულად და საფუძვლიანად დაიბანეთ პრეპარატის გამოყენების შემდეგ. კონტეინერი შეინახეთ თავდახურული. გამოიყენეთ მხოლოდ სათანადო განიავების პირობებში. არ შეხვიდეთ შეზღუდულ/დახურულ სივრცეში, სათანადო განიავების გარეშე. მოახდინეთ ყველა ელექტრო დანადგარის/მოწყობილობის ელექტრული დამიწება და შეაერთება. ჰაერზე უფრო მძიმე ორთქლი შეიძლება გადაადგილდეს დიდ მანძილზე და დაგროვდეს დაბალ სივრცეებში. შეიძლება მოხდეს აალება და/ან უკუ აალება. არ გაჭრათ ან შეადულოთ კონტეინერი. შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ ტარაში. ცხელი პროდუქტის გადაზიდვამ/დამუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს თერმული დამწვრობა. მთავრად კონტეინერები თავისუფალ სივრცეში არსებულ ორთქლთან შეხებას. კონტეინერის გახსენამდე ფრთხილად გამოუშვით წნევა. იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება.

**7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით:** შეინახეთ მშრალ ადგილზე, მჭიდროდ თავდახურულ ქარხნულ შეფუთვაში საკვები პროდუქტების, ცხოველების საკვების, წამლებისა და სასმელი წყლის არაგებისგან მოშორებით. მაქსიმალურად შეამცირეთ ანთების წყაროები, როგორცაა სტატიკური ელექტრულ მუხტის დაგროვება, სითბო, ნაპერწკალი ან ღია ცეცხლი. თავიდან აიცილეთ 50 ° C (122 ° F) –ზე მაღალი ტემპერატურა.

**7.3 სპეციფიკური საბოლოო გამოყენება:** იხილეთ პროდუქტის ეტიკეტი.

**პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება**

**8.1 კონტროლის პარამეტრები**

არსებობის შემთხვევაში, ექსპოზიციის ზღვრები ჩამოთვლილია ქვემოთ.

კომპონენტი	რეგულაცია	ჩამონათვალის ტიპი	მნიშვნელობა/მითითება
ქლორპირიფოსი (ISO)	ACGIH	TWA ინჰალაციური ფრაქცია და ორთქლი	0.1 მგ/მ <sup>3</sup>
	ACGIH	TWA	კანი, BEI
	GB EH40	TWA	კანი
	GB EH40	STEL	კანი
	GB EH40	TWA	0.2 მგ/მ <sup>3</sup>
	GB EH40	STEL	0.6 მგ/მ <sup>3</sup>
სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული	Dow IHG	TWA	100 მგ/მ <sup>3</sup>
	Dow IHG	STEL	300 მგ/მ <sup>3</sup>
სულფოტები (ISO)	ACGIH	TWA ინჰალაციური ფრაქცია და ორთქლი	0.1 მგ/მ <sup>3</sup>
	ACGIH	TWA	კანი, BEI
	2000/39/EC	TWA	0.1 მგ/მ <sup>3</sup>
	2000/39/EC	TWA	კანი
	GB EH40	TWA	კანი
	GB EH40	TWA	0.1 მგ/მ <sup>3</sup>
ქლორპირიფოს-მეთილი	Dow IHG	TWA	0.1 მგ/მ <sup>3</sup>
	Dow IHG	TWA	კანი

აღნიშნულ პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები განკუთვნილია წარმოებისთვის, კომერციულ შეზავებასა და შეფუთვაზე მომუშავეებისათვის. განმცხადებლები და მომხმარებლები სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებსა და სპექტანსაცმლის შესახებ ინფორმაციას უნდა გაეცნონ პროდუქტის ეტიკეტზე.

**8.2 ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი**

**შესაბამისი საინჟინრო კონტროლი:** გამოიყენეთ საინჟინრო კონტროლის საშუალებები, ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაციების ექსპოზიციის ზღვრის მოთხოვნებისა და ნორმების ქვემოთ შესანარჩუნებლად. თუ ექსპოზიციის ზღვრის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან ნორმები, სამუშაოების უმეტესობისათვის საკმარისი უნდა იყოს საერთო ვენტილაცია. ზოგიერთი ოპერაციისათვის შეიძლება საჭირო გახდეს ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის გამოყენება.

**ინდივიდუალური დაცვის ზომები:**

**თვალის/სახის დაცვა:** გამოიყენეთ ქიმიური დამცავი სათვალე. დამცავი სათვალე უნდა შეესაბამებოდეს EN 166 სტანდარტს ან ანალოგიურს.

**კანის დაცვა:**

**ხელის დაცვა:** გამოიყენეთ ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი ხელთათმანები, რომელიც კლასიფიცირებულია EN 374 სტანდარტით:

ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისაგან დამცავი ხელთათმანი. დამცავი ხელთათმანის უპირატესად გამოყენებული მასალებია: ქლორირებული პოლიეთილენი, ნეოპრენი. ნიტრილის/ბუტადიენური კაუჩუკი/რეზინი ("ნიტრილი" ან "NBR"). პოლიეთილენი. ეთილ ვინილის სპირტის ლამინირებული მასალა ("EVAL"). ხელთათმანის დასაშვები დამცავი მასალების მაგალითებია: ბუტილის რეზინი. ბუნებრივი რეზინი ("ლატექსი"). პოლივინილქლორიდი ("PVC" ან "ვინილი"). ვიტონი. როდესაც გახანგრძლივებულ ან ხშირად განმეორებად კონტაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რეკომენდებულია დაცვის მე-4 ან უფრო მეტი კლასის ხელთათმანის გამოყენება (გაცვეთის დრო აღემატება 120 წუთს EN 374-ის შესაბამისად). როდესაც მოსალოდნელია მხოლოდ ხანმოკლე კონტაქტი, რეკომენდებულია ხელთათმანი დაცვის კლასით 1 ან მეტი (გარღვევის დრო აღემატება 10 წუთს EN 374-ის შესაბამისად). მხოლოდ ხელთათმანის სისქე არ განსაზღვრავს ქიმიური ნივთიერებისგან ხელთათმანის სათანადო დაცვის დონის უზრუნველყოფას, ვინაიდან დაცვის ეს დონე ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ მასალის სპეციფიკურ შემადგენლობაზე, რომლისგანაც ხელთათმანი არის დამზადებული. ხელთათმანის სისქე, მოდელისა და მასალის ტიპის მიხედვით, როგორც წესი უნდა იყოს 0.35 მმ-ზე მეტი, რათა

ნივთიერებასთან ხანგრძლივი და ხშირი კონტაქტის დროს უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა. როგორც ამ ზოგადი წესისგან გამონაკლისი, ცნობილია, რომ მრავალშრიან ლამინირებულ ხელთათმანს შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივი დაცვა 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის დროს. 0.35 მმ-ზე ნაკლები სისქის ხელთათმანის სხვა მასალებს შეუძლიათ სათანადო დაცვის უზრუნველყოფა, როდესაც მხოლოდ ხანმოკლე კონტაქტი არის მოსალოდნელი. **შენიშვნა:** კონკრეტული მიზნით გამოყენების და სამუშაო ადგილზე გამოყენების ხანგრძლივობის მიხედვით სათანადო ხელთათმანის შერჩევას, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა: სხვა ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული, ფიზიკური მოთხოვნები (გაჭრისგან/გახვერტისგან დაცვა, მოხერხებულობა, თერმული დაცვა), ხელთათმანის მასალების მიმართ სხეულის შესაძლო რეაქციები, ასევე ხელთათმანის მომწოდებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციები / სპეციფიკაციები და სხვა.

**დაცვის სხვა ზომები:** გამოიყენეთ ამ პრეპარატის მიმართ ქიმიურად მდებრივი სპეცტანსაცემელი. კონკრეტული ნივთის შერჩევა, როგორცაა სახის ფარი, ჩექმები, წინსაფარი ან კომბინიზონი, დამოკიდებული იქნება შესასრულებელ სამუშაოზე.

**რესპირატორული დაცვა:** რესპირატორული დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც არსებობს ზემოქმედების/ექსპოზიციის ზღვრების მიმართ მოთხოვნების ან მითითებების პოტენციური გადაჭარბების შესაძლებლობა. თუ ზემოქმედების დონის მიმართ არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნები ან მითითებები გამოიყენეთ აპრობირებული რესპირატორი. ჰაერის გაწმენდის ან დადებითი წნევით ჰაერის მოწოდების არჩევა დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ოპერაციაზე და ჰაერში ნივთიერების შესაძლო კონცენტრაციაზე. საგანგებო სიტუაციებში გამოიყენეთ აპრობირებული დადებითი წნევის ავტონომიური სუნთქვის აპარატი. გამოიყენეთ CE აპრობირებული ჰაერის გამწმენდი რესპირატორი: ორგანული ნივთიერებების ორთქლის კარტრიჯი ნაწილაკების ფილტრით, ტიპის AP2.

**გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები**  
გამოყენებისა და ნარჩენების გატანისას გარემოზე გადაჭარბებული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად იხილეთ მე-7 პარაგრაფი : გამოყენება და შენახვა და მე-13 პარაგრაფი: განკარგვა/უტილიზაცია.

**პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები**

**9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:**

ფიზიკური მდგომარეობა	სითხე
ფერი	ყვითელი
სუნი	გამხსნელის
სუნის შეგრძნების ზღვარი	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
pH	7.0 1% CIPAC MT 75.2 (1%-იანი წყალხსნარი)
ღლობის ტემპერატურა/დიაპაზონი	არ გამოიყენება
გაყინვის ტემპერატურა	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
დუდილის ტემპერატურა (760 მმ Hg)	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
აალების ტემპერატურა	<b>დახურული ტიგელი</b> 53.5 ° C 92/69/EEC A9
აორთქლების სიჩქარე (ბუტილ აცეტატი=1)	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
აალებადობა (მყარი, გაზი)	არ გამოიყენება
აფეთქების ქვედა ზღვარი	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
აფეთქების ზედა ზღვარი	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე (ჰაერი = 1)	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
ფარდობითი სიმკვრივე (წყალი = 1)	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
წყალში ხსნადობა	ემულსირებადი
განაწილების კოეფიციენტი	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ნ-ოქტანოლი / წყალი	
თვითაალების ტემპერატურა	92/69/EEC A15 არ აღემატება 400 °C
დაშლის ტემპერატურა	ტესტის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი
დინამიკური სიბლანტე	2.22 მპა.წმ 25 °C-ზე
კინემატიკური სიბლანტე	2.09 მმ <sup>2</sup> /წმ 40 °C-ზე



ფეთქებადი თვისებები	არა EEC A14
დამჟანგავი თვისებები	არა
<b>9.2 დამატებითი ინფორმაცია</b>	
სითხის სიმკვრივე	1.07 გ/სმ <sup>3</sup> 25 °C-ზე პიკნომეტრი
მოლეკულური მასა	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ზედაპირული დაჭიმულობა	31 mN/m 25 °C-ზე EC მეთოდი A5

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფიზიკური მონაცემები ტიპური მნიშვნელობებია და არ უნდა იქნეს წარმოჩენილი, როგორც ტექნიკური მახასიათებლები.

### პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

**10.1 რეაქტიულობა:** ნორმალურ პირობებში გამოიყენების დროს სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი.

**10.2 ქიმიური მდგრადობა:** თერმულად მდგრადია ნორმალურ ტემპერატურაზე გამოყენებისას.

**10.3 სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა:** პოლიმერიზაცია არ მოხდება.

**10.4 ასარიდებელი გარემოებები:** მოერიდეთ 50 ° C- ზე მაღალ ტემპერატურას. დაშლის დროს აირის წარმოქმნამ შეიძლება გამოიწვიოს წნევა დახურულ სისტემებში. თავიდან აიცილეთ სტატიკური ელექტრობის განმუხტვა.

**10.5 შეუთავსებელი მასალები:** მოარიდეთ კონტაქტს: მჟავებთან. ფუძეებთან. დამჟანგავებთან.

**10.6 საშიში დაშლის პროდუქტები:** დაშლის პროდუქტები დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ჰაერის მიწოდებასა და სხვა მასალების არსებობაზე. დაშლის პროდუქტები შეიძლება შეიცავდეს არა მარტო: ნახშირჟანგს. ნახშირორჟანგს. ქლორწყალბადს. აზოტის ოქსიდებს. ფოსფორის ოქსიდებს. გოგირდის ოქსიდებს. დაშლის დროს გამოიყოფა ტოქსიკური აირები.

### პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

ამ პარაგრაფში ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები არის ხელმისაწვდომი.

#### 11.1 ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

##### მწვავე ტოქსიკურობა

###### მწვავე პერორალური ტოქსიკურობა:

ზომიერად ტოქსიკურია გადაყლაპვისას. გამოყენების სტანდარტული ოპერაციების შედეგად მცირე რაოდენობის შემთხვევით გადაყლაპვის დროს დაზიანება არ არის მოსალოდნელი, თუმცა, დიდი რაოდენობით გადაყლაპვამ შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება. შეიძლება გავლენა მოახდინოს ცენტრალურ ნერვული სისტემაზე.

როგორც პროდუქტი:

LD<sub>50</sub>, ვირთაგვა, მდედრი, > 300–500 მგ/კგ

###### მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

კანთან ხანგრძლივი კონტაქტი სავარაუდოდ არ გამოიწვევს საზიანო რაოდენობის შეწოვას.

როგორც პროდუქტი:

LD<sub>50</sub>, კურდღელი, მამრი, 4,768 მგ/კგ

როგორც პროდუქტი:

LD<sub>50</sub>, კურდღელი, მდედრი, > 5,000 მგ/კგ

#### მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

აეროზოლის გახანგრძლივებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი შედეგები, სიკვდილიც კი. შეიძლება გავლენა მოახდინოს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. აეროზოლმა შეიძლება გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანება (ცხვირი და ყელი).

როგორც პროდუქტი:

LD<sub>50</sub>, ვირთაგვა, მდედრი, 4 საათი, მტვერი/აეროზოლი, 2.86 მგ/ლ

#### კანის კოროზია/ გაღიზიანება

ხანმოკლე კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის მცირე გაღიზიანება ადგილობრივი სიწითლით.

შეიძლება გამოიწვიოს კანის გამომშრობა და აქერცვლა.

შედეგები შეიძლება ნელა გაიკურნოს.

#### თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გაღიზიანება

შეიძლება გამოიწვიოს თვალის ზომიერი გაღიზიანება.

შეიძლება გამოიწვიოს თვალის რქოვანას მსუბუქი დაზიანება.

#### სენსიბილიზაცია

ზღვის გოჭებზე ტესტირებას კანის ალერგიული რეაქციები არ გამოუწვევია.

რესპირატორული სენსიბილიზაციისთვის:

შესაბამისი მონაცემები არ არის მოძიებული.

#### სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია)

შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება.

შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.

#### სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს სისტემური ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია)

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის:

გადაჭარბებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ქოლინესტერაზას ფოსფორორგანული ნაერთებით ინჰიბირება.

მოქმედი ნივთიერების გადაჭარბებული ზემოქმედების ნიშნები და სიმპტომები შეიძლება იყოს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, კუნთების კრთომა, ტრემორი, გულისრევა, სპაზმური ტკივილები მუცლის ღრუში, დიარეა, ოფლიანობა, თვალის გუგების შევიწროვება, ბუნდოვანი ხედვა, ნერწყვდენა, ცრემლდენა, დაჭიმულობა გულმკერდის არეში, ხშირი შარდვა, კრუნჩხვები.

ინფორმაციის მიხედვით, ცხოველებში გამოვლინდა შემდეგ ორგანოებზე ზემოქმედება:

თირკმელზედა ჯირკვალი.

ამ ეფექტების გამომწვევი დოზა, ბევრად აღემატებოდა გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ნებისმიერი დოზის

ზემოქმედების დონეს.

ძირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის:

ინფორმაციის მიხედვით, ცხოველებში გამოვლინდა შემდეგ ორგანოებზე ზემოქმედება:

სისხლი.

თირკმელი.

ღვიძლი

სასუნთქი გზები.

კატარაქტა გამოვლინდა კუმოლის ორთქლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ვირთაგვებში.

#### კანცეროგენული მოქმედება

მეორეხარისხოვანი კომპონენტებისათვის: ლაბორატორიულ ცხოველებში გამოიწვია კიბო. ამასთან, ადამიანის მიმართ მნიშვნელობა არ არის ცნობილი.

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: ლაბორატორიულ ცხოველებში არ გამოუწვევია კიბო.

### ტერატოგენური მოქმედება

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: ტოქსიკურია ექსპერიმენტული ცხოველების ნაყოფის მიმართ, დედის ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს. ლაბორატორიულ ცხოველებში არ გამოუწვევია თანდაყოლილი დეფექტები.

მირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის: ლაბორატორიულ ცხოველებში გამოიწვია თანდაყოლილი დეფექტები, მხოლოდ დედის მიმღე ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს. ტოქსიკური იყო ექსპერიმენტული ცხოველების ნაყოფის მიმართ, დედის ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს.

### რეპროდუქციული ტოქსიკურობა

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: ლაბორატორიული ცხოველებზე ჩატარებულ რეპროდუქციულობის კვლევებში ქლორპირიფოსს არ გამოუწვევია ნაყოფიერების დაზიანება. შთამომავლობის მიმართ ტოქსიკურობის მტკიცებულება გამოვლინდა, მხოლოდ მშობელი ცხოველების მნიშვნელოვანი ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს.

მირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის: ლაბორატორიული ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში რეპროდუქციულ ფუნქციაზე ზემოქმედება გამოვლინდა, მხოლოდ მშობელი ცხოველების მნიშვნელოვანი ტოქსიკურობის გამომწვევი დოზების დროს.

### მუტაგენურობა

მოქმედი ნივთიერებ(ებ)ისათვის: უარყოფითი მონაცემების უმრავლესობაზე და ზოგიერთ საექვო ან უმნიშვნელოდ დადებით შედეგებზე დაყრდნობით, მოქმედ ნივთიერებას აქვს გენეტიკური ტოქსიკურობის მინიმალური პოტენციალი.

მირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის: *in vitro* (ცოცხალ ორგანიზმში) გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო. ცხოველებზე გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

### ასპირაციის საშიშროება

შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვისა და სასუნთქ გზებში მოხვედრის დროს.

---

## პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია

---

ეკოლოგიური ინფორმაცია ამ ნაწილში წარმოდგენილია, როდესაც ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომია.

### 12.1 ტოქსიკურობა

#### თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

პრეპარატი ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის (LC50 / EC50 / IC50 < 1 მგ/ლ ყველაზე მგრძობიარე სახეობებში).

LC50, *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი), გამდინარე ნაკადის ტესტი, 96 საათი, 0.15 მგ/ლ

#### წყლის უხერხემლოების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EC50, *Daphnia magna* (წყლის რწყილი), სტატიკური ტესტი, 48 საათი, 0.000032 მგ/ლ

#### წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა

EbC50, *Pseudokirchneriella subcapitata* (მწვანე წყალმცენარეები), 72 საათი, ზრდის ტემპის ინჰიბირება, 4.7 მგ/ლ

#### მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

პერორალური LD50, *Apis mellifera* (ფუტკრები), 48 საათი, სიკვდილიანობა, 0.33 მიკროგრამი/ფუტკარზე

კონტაქტური LD50, *Apis mellifera* (ფუტკრები), 48 საათი, სიკვდილიანობა, 0.22 მიკროგრამი/ფუტკარზე

#### ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

LC50, *Eisenia fetida* (ჭიაყელები), 14 დღე, სიკვდილიანობა, 313 მგ/კგ

### 12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

#### ქლორპირიფოსი (ISO)

**ბიოდეგრადაციის უნარი** : ნივთიერებას არ ახასიათებს სწრაფი (სრული) ბიოდეგრადაციის უნარი OECD / EEC სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

10-დღიანი ინტერვალი: წარუმატებელი

**ბიოდეგრადაცია:** 22 %

**ექსპოზიციის დრო:** 28 დღე

**მეთოდი:** ტესტი OECD-ის 301D სახელმძღვანელო პრინციპებით ან შესატყვისით.

**ჟანგბადზე თეორიული მოთხოვნილება:** 2.46 მგ / მგ

**სტაბილურობა წყალში (ნახევრად დაშლის პერიოდი)**

ჰიდროლიზი, ნახევრად დაშლის პერიოდი, 72 დღე

**ფოტოდეგრადაცია**

**ტესტის ტიპი:** ნახევრად დაშლის პერიოდი (არაპირდაპირი ფოტოლიზი)

**სენსიბილიზატორი:** OH რადიკალები

**ატმოსფეროში ნახევრად დაშლის პერიოდი:** 1.4 საათი

**მეთოდი:** მიახლოებითი/განგარიშებული.

#### **არომატული ნახშირწყალბადები, C9**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** ძირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის: სავარაუდოდ ნივთიერება ძალიან ნელა განიცდის ბიოდეგრადაციას (გარემოში). ვერ გადის სრულად ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტ(ებ)ს. ზოგიერთი კომპონენტ(ებ)ისთვის: OECD-ის მკაცრ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, აღნიშნული ნივთიერება არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სრულად ბიოდეგრადირებადი; ამასთან, ეს შედეგები ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნივთიერება არ განიცდის ბიოდეგრადაციას გარემოში.

#### **ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** სავარაუდოდ ნივთიერება ძალიან ნელა განიცდის ბიოდეგრადაციას (გარემოში). ვერ გადის სრული ბიოდეგრადაციის OECD/EEC ტესტებს.

10-დღიანი ინტერვალი: წარუმატებელი

**ბიოდეგრადაცია:** 2.9 %

**ექსპოზიციის დრო:** 28 დღე

**მეთოდი:** ტესტი OECD-ის 301E სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით.

#### **სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** ნივთიერება ბუნებრივად განიცდის ბიოდეგრადაციას (ბუნებრივი ბიოდეგრადაციის OECD ტესტ(ებ)ში აღწევს > 20% ბიოდეგრადაციას).

#### **არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნავთალინი**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** ნივთიერება ბუნებრივად განიცდის ბიოდეგრადაციას (ბუნებრივი ბიოდეგრადაციის OECD ტესტ(ებ)ში აღწევს > 20% ბიოდეგრადაციას).

#### **სულფოტები (ISO)**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** შესაბამისი მონაცემები ვერ მოიძებნა.

#### **ქლორპირიფოსი-მეთილი**

**ბიოდეგრადაციის უნარი:** აერობულ ლაბორატორიულ პირობებში ბიოდეგრადაცია არის დეტექტირებულ ზღვრულ მაჩვენებლებზე ქვემოთ (ჟმმ 20 ან ჟმმ 28 / ჟმმ <2.5%).

OECD-ის მკაცრ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, აღნიშნული ნივთიერება არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სრულად ბიოდეგრადირებადი; ამასთან, ეს შედეგები ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ნივთიერება არ განიცდის ბიოდეგრადაციას გარემო პირობებში.

10-დღიანი ინტერვალი: წარუმატებელი

**ბიოდეგრადაცია:** 25 %

**ექსპოზიციის დრო:** 28 დღე

**მეთოდი:** ტესტი OECD-ის 306D სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტურით

**ჟანგბადზე თეორიული მოთხოვნილება:** 2.08 მგ/მგ

**წყალში მდგრადობა (ნახევრად დაშლის პერიოდი) :** 2.2 - 3.6 დღე

ფოტოდეგრადაცია  
ატმოსფეროში ნახევრად დაშლის პერიოდი: 2.11 საათი  
მეთოდი: მიახლოებითი/გაანგარიშებული.

### 12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

#### ქლორპირიფოსი (ISO)

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის ზომიერი (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).  
განაწილების კოეფიციენტი: **ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow):** 4.7 20°C–ზე გაანგარიშებული.

#### არომატული ნახშირწყალბადები, C9

ბიოაკუმულაცია: ძირითადი კომპონენტ(ებ)ისათვის: ბიოაკუმულაციის პოტენციალი არის ზომიერი (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5). მეორეხარისხოვანი კომპონენტებისათვის: (BCF < 100 ან Log Pow < 3).

#### ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

ბიოაკუმულაცია: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის ზომიერი (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).  
განაწილების კოეფიციენტი: **ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow):** 4.6 ტესტი OECD-ის 107 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური.

#### სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული

ბიოაკუმულაცია: მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისათვის:  
ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის მაღალი (BCF >3000 ან Log Pow 5– 7).

#### არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნაფთალინი

ბიოაკუმულაცია: ამ პროდუქტისათვის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისათვის:  
ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის მაღალი (BCF >3000 ან Log Pow 5– 7).

#### სულფოტები (ISO)

ბიოაკუმულაცია: ბიოაკუმულაციის პოტენციალი არის ზომიერი (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).  
განაწილების კოეფიციენტი: **ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow):** 3.99

#### ქლორპირიფოს-მეთილი

ბიოაკუმულაცია: ბიოაკუმულაციის პოტენციალი არის ზომიერი (BCF 100–3000 ან Log Pow 3– 5).  
განაწილების კოეფიციენტი: **ნ-ოქტანოლი/წყალი (log Pow):** 4  
ბიოკონცენტრაციის ფაქტორი (BCF): 1,800 *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი) 13 დღე

### 12.4 მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში

#### ქლორპირიფოსი (ISO)

სავარაუდოდ, ნიადაგში საკმაოდ უძრავი იქნება ( $K_{oc} > 5000$ ).  
განაწილების კოეფიციენტი: ( $K_{oc}$ ): 8151

#### არომატული ნახშირწყალბადები, C9

შესაბამისი მონაცემი ვერ მოიძებნა.

#### ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები

შესაბამისი მონაცემი ვერ მოიძებნა.

#### სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული

შესაბამისი მონაცემი ვერ მოიძებნა.

#### არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნაფთალინი

შესაბამისი მონაცემი ვერ მოიძებნა.

#### სულფოტები (ISO)

ნიადაგში მოხილურობის პოტენციალი უმნიშვნელოა ( $K_{oc}$  2000–დან 5000–მდე).

**ქლორპირიფოს-მეთილი**

ნიადაგში მობილობის პოტენციალი მცირეა (Koc 500–დან 2000–მდე).  
განაწილების კოეფიციენტი (Koc): 1189 – 8100

**12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები**

**ქლორპირიფოსი (ISO)**

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

**არომატული ნახშირწყალბადები, C9**

ეს ნივთიერება მდგრადობის, ბიოაკუმულაციის და ტოქსიკურობის (PBT) მიმართ არ არის შეფასებული.

**ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები**

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

**სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული**

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

**არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნაფთალინი**

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

**სულფოტები (ISO)**

ეს ნივთიერება მდგრადობის, ბიოაკუმულაციის და ტოქსიკურობის (PBT) მიმართ არ არის შეფასებული.

**ქლორპირიფოს-მეთილი**

ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

**12.6 სხვა მავნე ეფექტები**

**ქლორპირიფოსი (ISO)**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**არომატული ნახშირწყალბადები, C9**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**ბენზოლსულფონის მჟავას, მონო-C11-13-განშტოებული ალკილ წარმოებულების, კალციუმის მარილები**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**არომატული ნახშირწყალბადები, C10, <1% ნაფთალინი**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**სულფოტები (ISO)**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

**ქლორპირიფოს-მეთილი**

ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებათა სიაში, რომლებიც შლის ოზონის შრეს.

### პარაგრაფი 13: განკარგვა / უტილიზაცია

#### 13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები

თუ ნარჩენების ან / და ტარის უტილიზაცია/განთავსება შეუძლებელია პროდუქტის ეტიკეტის მითითებების შესაბამისად, მაშინ ამ მასალის განკარგვა უნდა მოხდეს ადგილობრივი ან რეგიონალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი წესებით. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. თვისებების ან ჩამონათვალის საფუძველზე იდენტიფიკაციის გამოყენება არ შეიძლება, თუ პრეპარატი გამოყენებულია, ან სხვა გზით არის დაბინძურებული. წარმოქმნილი მასალის ტოქსიკურობისა და ფიზიკური თვისებების შეფასება, ნარჩენების სწორად იდენტიფიკაციისა და უტილიზაციის მეთოდების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა, წარმოადგენს ნარჩენების წარმომქმნელის/ მომხმარებლის პასუხისმგებლობას. თუ მოწოდებული პროდუქტი უკვე იქცა ნარჩენად, დაიცავით ყველა მოქმედი რეგიონალური, ეროვნული და ადგილობრივი კანონი.

ამ პრეპარატის შესაბამის ევროპის ნარჩენების კატალოგის (EWC) ჯგუფზე საბოლოო მიკუთვნება და აქედან გამომდინარე მისი სათანადო EWC კოდი, დამოკიდებულია მოცემული პრეპარატის გამოყენებაზე. დაუკავშირდით ნარჩენების უტილიზაციის უფლებამოსილ სამსახურებს.

### პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

#### კლასიფიკაცია საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტისთვის (ADR / RID):

- |   |  |
|---|--|
| 14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:                     | UN 3017  |
| 14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:                   | ფოსფორორგანული პესტიციდი, თხევადი. ტოქსიკური, აალებადი, (ქლორპირიფოსი, არომატული ნახშირწყალბადი) |
| 14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:                 | 6.1 (3)  |
| 14.4 შეფუთვის ჯგუფი:                                      | III  |
| 14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:                               | ქლორპირიფოსი   |
| 14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: | საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი: 63  |

#### კლასიფიკაცია საზღვაო ტრანსპორტისთვის (IMO-IMDG):

- |  |  |
|--|--|
| 14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:  | UN 3017  |
| 14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:  | ფოსფორორგანული პესტიციდი, თხევადი. ტოქსიკური, აალებადი, (ქლორპირიფოსი, არომატული ნახშირწყალბადი) |
| 14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:  | 6.1 (3)  |
| 14.4 შეფუთვის ჯგუფი:   | III  |
| 14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:  | ქლორპირიფოსი   |
| 14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:  | EmS: F-A, S-F  |
| 14.7 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL 73/78 საერთაშორისო კონვენციის დანართის I ან II და IBC ან IGC კოდექსის შესაბამისად : | ნაყარი ტვირთების საოკეანო გადაზიდვამდე გაეცანით IMO რეგულაციებს.                                 |

#### კლასიფიკაცია საჰაერო ტრანსპორტისთვის (IATA/ICAO):

- |   |  |
|---|--|
| 14.1 UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:                     | UN 3017  |
| 14.2 გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:                   | ფოსფორორგანული პესტიციდი, თხევადი. ტოქსიკური, აალებადი, (ქლორპირიფოსი, არომატული ნახშირწყალბადი) |
| 14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:                 | 6.1 (3)  |
| 14.4 შეფუთვის ჯგუფი:                                      | III  |
| 14.5 ეკოლოგიური საფრთხეები:                               | არ ექვემდებარება შევსებას  |
| 14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: | მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.  |

ეს ინფორმაცია არ არის განკუთვნილი მოცემულ პროდუქტთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკური მარეგულირებელი ან საექსპლუატაციო წესების/ინფორმაციის მოსაწოდებლად. ტრანსპორტირების კლასიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს კონტეინერის მოცულობის მიხედვით და რეგიონალური ან ქვეყნის განსხვავებული რეგულაციების გავლენით. სატრანსპორტო სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გაყიდვების ან მომხმარებელთა მომსახურების უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. გადამზიდავ ორგანიზაციას ევალება პროდუქტის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედი კანონის, დებულებისა და წესის დაცვა.

## პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

### 15.1 ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

#### ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No. 1907/2006 REACH რეგულაცია

ეს პროდუქტი შეიცავს მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც წინასწარ იყო დარეგისტრირებული, დარეგისტრირდა, გათავისუფლდა რეგისტრაციიდან, ჩაითვალა რეგისტრირებულად ან არ ექვემდებარებოდა რეგისტრაციას (EC) 1907/2006 (REACH) რეგულაციის შესაბამისად. REACH რეგისტრაციის სტატუსის ზემოხსენებული მაჩვენებლები მოცემულია კეთილსინდისიერად და სარწმუნოა ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. თუმცა, არავითარი გარანტია, პირდაპირი ან ნაგულისხმევი არ არის მოცემული. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ მან სწორად გაიგო ამ პროდუქტის მარეგულირებელი სტატუსი.

#### სევესო III: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012/18/EU დირექტივა სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების მაღალი რისკების კონტროლის შესახებ.

მითითებულია რეგულაციაში: აალებადი სითხეები

ნომერი რეგულაციაში: P5c

5,000 ტ

50,000 ტ

მითითებულია რეგულაციაში: ეკოლოგიური საფრთხეები

ნომერი რეგულაციაში: E1

100 ტ

200 ტ

მითითებულია რეგულაციაში: ნავთობპროდუქტები: (ა) გაზოლინი (ბენზინი) და ლიგროინი, (ბ) ნავთი (რეაქტიული საწვავის ჩათვლით), (გ) გაზოლილი (დიზელის საწვავის, საყოფაცხოვრებო თხევადი და მყარი საწვავი) (დ) მძიმე თხევადი საწვავი /მაზუთი, (ე) ალტერნატიული სახის საწვავი, რომელსაც (ა) - (დ) პუნქტებში მითითებულ პროდუქტების მსგავსი დანიშნულება და აალებადობასა და ეკოლოგიურ საფრთხეებთან მიმართებაში ანალოგიური თვისებები აქვს.

ნომერი რეგულაციაში: 34

2,500 ტ

25,000 ტ

### 15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტის სწორად და უსაფრთხოდ გამოყენებისთვის გაეცანით პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულ დადგენილ პირობებს.

## პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია

### მე-2 და მე-3 პარაგრაფში მითითებული H- ფრაზების სრული ტექსტი

H226	აალებადი სითხე და ორთქლი.
H300	სასიკვდილოა გადაყლაპვისას.
H301	ტოქსიკურია გადაყლაპვისას.



H302	მავნეა გადაყლაპვისას.
H304	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას.
H310	სასიკვდილოა კანზე მოხვედრისას.
H312	მავნეა კანზე მოხვედრისას.
H315	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H317	შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
H330	სასიკვდილოა ჩასუნთქვისას.
H332	მავნეა ჩასუნთქვისას.
H335	შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება.
H336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H400	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გეპელვადიანი შედეგებით.
H411	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გეპელვადიანი შედეგებით.

**კლასიფიკაცია და პროცედურა, რომელიც გამოიყენება ნარეგების კლასიფიკაციის დასადგენად (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.**

აალებ. სითხ. - 3 - H226 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 მწვავე ტოქ. - 4 - H302 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 მწვავე ტოქ. - 4 - H332 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 კანის გაღ. - 2 - H315 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 თვალის გაღ. - 2 - H319 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 ასპ. ტოქ. - 1 - H304 - გაანგარიშების მეთოდი  
 STOT SE - 3 - H335 - გაანგარიშების მეთოდი  
 STOT SE - 3 - H336 - გაანგარიშების მეთოდი  
 წყლისათვის მწვავე - 1 - H400 - კვლევის მონაცემების საფუძველზე.  
 წყლისათვის ქრონიკული - 1 - H410 - გაანგარიშების მეთოდი

**განახლება (რედაქტირება)**

საიდენტიფიკაციო ნომერი: 101202923 / A312 / გამოცემის თარიღი: 10.01.2017 / ვერსია: 12.0  
 DAS კოდი: EF-1551  
 დოკუმენტში ყველა ბოლოდროინდელი შესწორება აღნიშნულია ორმაგი მუქი ვერტიკალური ხაზით მარცხენა ზოლში.

**შემოკლებული აღნიშვნები**

2000/39/EC	ევროპა. ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება სამუშაო ადგილზე მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია
ACGIH	აშშ. ამერიკის სამთავრობო სამრეწველო ჰიგიენისტთა კონფერენცია (ACGIH). ზღვრული ზღვრბლოვანი კონცენტრაცია (TLV).
Dow IHG	„დაუ“-ს სამრეწველო ჰიგიენის სახელმძღვანელო მითითებები
GB EH40	UK. EH40 WEL - სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრები
SKIN	შეიწვევა კანის საშუალებით
SKIN, BEI	ბიოლოგიური ექსპოზიციის ინდექსი
STEL	მოკლევადიანი ზემოქმედების ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება

**ინფორმაციის წყარო და ცნობები**

აღნიშნული უსაფრთხოების ფურცელი მომზადებულია პროდუქციის მარეგულირებელი სამსახურებისა და რისკის კომუნიკაციების ჯგუფების მიერ, ჩვენი კომპანიის შიდა წყაროებით მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

„დაუ აგროსაიენსის ა.ს.“ მოუწოდებს თითოეულ მომხმარებელს ან ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მიმღებს, შეისწავლოს იგი ყურადღებით და მიმართონ სპეციალისტს, თუ ეს აუცილებელია ან მიზანშეწონილი, რათა გაითვალისწინონ და გააცნობიერონ ამ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული მონაცემები და პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხეები. დოკუმენტში არსებული ინფორმაცია მოწოდებულია კეთილსინდისიერად და

სარწმუნოდ ჩაითვლება ზემოთ მითითებული ძალაში შესვლის თარიღიდან. მიუხედავად ამისა, არავითარი გარანტია, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი, არ არის მოცემული. მარეგულირებელი მოთხოვნები შიძლება შეიცვალოს და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში. მყიდველის/მომხმარებლის პასუხისმგებლობაა, დარწმუნდეს, რომ მისი ქმედებები შეესაბამება ყველა ფედერალურ, სახელმწიფო, რეგიონალურ თუ ადგილობრივ კანონებს. წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ პროდუქტზე, იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. რადგან პროდუქტის გამოყენების პირობები არ არის მწარმოებლის კონტროლის ქვეშ, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია განსაზღვროს თუ რა პირობებია საჭირო პროდუქტის უსაფრთხო გამოყენებისთვის. ისეთი ინფორმაციის, როგორცაა მწარმოებლის-სპეციფიკური (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები, წყაროების სიმრავლის გამო, ჩვენ არ ვართ და ვერ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლებზე, რომლებიც მოპოვებულია ნებისმიერი ჩვენგან განსხვავებული წყაროდან. თუ თქვენ მოიპოვეთ (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ნებისმიერი სხვა წყაროდან, ან თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ მოპოვებული (ნივთიერებათა) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი არ არის უახლესი, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ყველაზე უახლესი ვერსიის მისაღებად.